ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის "სკოლამდელ სააღმზრდელო
დაწესებულებათა მართვის ცენტრი"
GEORGIA
PRIVATE LAW NON-PROFIT (NON-COMMERCIAL) LEGAL ENTITY ZUGDIDI
MUNICIPALITY "PRESCHOOL NURSING MANAGEMENT CENTER"
საიდენტიფიკაციო ნომერი: 420427023

ბრძანება:**ბ73. 242519811**
თარიღი:**17/07/2025**

ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტს „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს წესდების მე-4 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.დამტკიცდეს ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი ბაღების სტრატეგიული განვითარების გეგმა დანართი N 1 მიხედვით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2025 წლის 15 ივლისის N ბ73.2425196001 ბრძანება.

3. სტრატეგიული განვითარების გეგმა ამოქმედდეს 2026 წლიდან.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მეშვეობით (ქ.ზუგდიდი, რევაზ ლაღიძის ქუჩა N 12).

დანართი N 1 (9 ფურცლად)

ხათუნა თოლორაია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის 2026-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა

ზუგდიდი
2025წ.

➢ დოკუმენტის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ა(ა)იპ-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწსებულებათა მართვის ცენტრის (შემდგომში ცენტრი/დაწესებულება) სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების მისიის და ხედვის შესაბამისად სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს.
დაწესებულება მას განიხილავს როგორც სამომავლო განვითარების მთავარ
მარეგულირებელ დოკუმენტს, რათა ადეკვატურად უპასუხოს რეგიონში წარმოქმნილ საჭიროებებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით და ამ გზით გააგრძელოს სწრაფად განვითარების პროცესი.

➢ დაწესებულების მისია

„დაწესებულების მისიაა უზრუნველყოს თამაშზე და შემოქმედებითობაზე დაფუძნებული უსაფრთხო, ინკლუზიური და ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესი, მშობლებთან და თემთან თანამშრომლობით ხელი შეუწყოს მულტიკულტურულ გარემოში ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და საზოგადოების სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბებას“;

➢ დაწესებულების ხედვის განაცხადი

დაწესებულება აღიარებს და პატივს სცემს თითოეული ბავშვის უნიკალურობას; ის მიზანმიმართულად ქმნის გარემოს, სადაც ბავშვი სწავლობს თანაცხოვრებას მრავალფეროვან და ინკლუზიურ საზოგადოებაში, ავითარებს შემოქმედებით, კვლევით, სოციალურ და გარემოსდაცვით უნარებს, რაც ხელს უწყობს მის პასუხისმგებლიან და თვითმყოფად პიროვნებად ჩამოყალიბებას.“

➢ დაწესებულების ღირებულებები

დაწესებულების მისია, მიზნები და ამოცანები ეფუძნება შემდეგ ფასეულობებს:

1. ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა;
2. ინკლუზიურობა და თანასწორობა:
3. მშვიდობის კულტურა და მულტიკულტურული თანაცხოვრება;
4. აქტიური თანამშრომლობა მშობლებთან და თემთან ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის;
5. შემოქმედებითობა და ინოვაცია;
6. მდგრადობა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა;

➢ სტრატეგიული პრიორიტეტები/მიმართულებები, მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები

სტრატეგიული გეგმის აქტუალობის დასაბუთება

ზუგდიდი წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უნიკალურ რეგიონს, რომელიც ისტორიულად გამორჩეულია თავისი ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გეოგრაფიული მდებარეობა- აფხაზეთთან დე-ფაქტო საზღვრისპირა ზონა, რაც მას აქცევს არა მხოლოდ ადმინისტრაციულ, არამედ სოციალური ინტეგრაციის, მშვიდობის შენებისა და თანაცხოვრების ცენტრად.

გეოგრაფიული და სოციალური კონტექსტი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი უშუალოდ ესაზღვრება ოკუპირებულ აფხაზეთს.
ქალაქში ცხოვრობს ათასობით იძულებით გადაადგილებული პირი, მათ შორის ბევრია სკოლამდელი ასაკის ბავშვი.
საბავშვო ბაღები ხშირად ემსახურებიან დევნილთა და ლოკალურ თემებს/დასახლებებს ერთდროულად, რაც ქმნის მრავალფეროვან სოციო-კულტურულ გარემოს.

ადრეული ასაკი -მშვიდობის კულტურის საწყისი

კვლევებით დასტურდება, რომ ადრეულ ასაკში, როცა ყალიბდება ღირებულებები, დამოკიდებულებები და ემოციური მგრძნობელობა მნიშვნელოვანია ბავშვებმა:

- ისწავლონ თანაარსებობა და მრავალფეროვნების მიღება;
- განავითარონ ემპათია, ტოლერანტობა და კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის უნარი;
- ყოველდღიურ ურთიერთობაში გაეცნონ სხვადასხვა კულტურულ მახასიათებლებს, რაც ზრდის ტოლერანტობას და ამცირებს სტიგმას.

- შეიძინონ ბუნებაზე ზრუნვის ჩვევები და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა.

რატომ მულტიკულტურული და ინკლუზიური მიდგომა?

- საბავშვო ბაღში ყოველდღიურად თანაარსებობენ ბავშვები სხვადასხვა სოციალური გამოცდილებით, სადაც თითოეული მათგანი საჭიროებს საკუთარი იდენტობის უსაფრთხოებას, მიმღებლობას, თანამშრომლობას და დაცულობას.
- მულტიკულტურული პროგრამა ეხმარება ბავშვებს ერთმანეთის კულტურების დაფასებაში და თავიდანვე ქმნის საფუძველს შემწყნარებლური საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.
- ეკოლოგიურად მოწყობილი ეზოები, სენსორული სივრცეები და მწვანე აქტივობები ზრდის ბავშვების ემოციურ წონასწორობას, იწვევს შემოქმედებით აქტივობას და უყრის საფუძველს გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას.
- ბაღის სივრცეებში ინტეგრირებული ეკოკუთხეები, ბუნებრივი მასალებით თამაში, ბაღის მოვლა, ნარჩენების სეპარაცია და გარემოზე დაკვირვების პატარა კვლევები ბავშვებში ჩამოაყალიბებს გარემოზე ზრუნვის კულტურას.

მშვიდობა იწყება ბაღში, იქ, სადაც ბავშვი სწავლობს როგორ მოუსმინოს, როგორ ითამაშოს, როგორ იზრუნოს და როგორ ითანამშრომლოს სხვასთან. სწორედ ამიტომ, სტრატეგიული გეგმის საფუძვლად მიღებულია **მშვიდობის კულტურის, მულტიკულტურული სწავლებისა და ინკლუზიური გარემოს შექმნის პრიორიტეტი** და **ეკოლოგიური გარემოს შექმნა.**

საბავშვო ბაღის სტრატეგიული გეგმა არა მხოლოდ ემსახურება განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, არამედ იგი წარმოადგენს მშვიდობის, თანაცხოვრებისა და სოციალური სამართლიანობის მშენებლობის ერთ-ერთ საწყის რგოლს. ამ გეგმის რეალიზება გააძლიერებს სათემო საზოგადოებას, გაზრდის ბავშვების ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობას და შექმნის მყარ საფუძველს მომავლის მდგრადი, თანასწორი და ტოლერანტული საზოგადოებისთვის.

სტრატეგიული გეგმის კონცეფცია

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის სტრატეგიული განვითარების გეგმა

2025-2030 წელი						
ამოცანა	**მოსალოდნელი შედეგი**	**განხორციელების ვადა**				
		წელი				
		2026	2027	2028	2029	2030
სტრატეგიული მიზანი 1. უსაფრთხო ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა						
1.1. ემოციური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა:	დანერგილია ემოციური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ინტეგრირებული სისტემა, რომელიც მოიცავს ბავშვის ემოციური საჭიროებების ამოცნობისა და რეაგირების შიდა პროცედურებს, პერსონალის გადამზადებას ქცევის მართვისა და მხარდაჭერის მიმართულებით, ფსიქოლოგიური კონსულტაციის სერვისის ან რეფერირების მექანიზმის ფუნქციონირებას და ფსიქო-სოციალური აქტივობების რეგულარულ განხორციელებას.					
1.2. მულტიკულტურული და მშვიდობაზე ორიენტირებული სწავლების მხარდაჭერა;	დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია მულტიკულტურული და მშვიდობაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემო, სადაც სისტემურად ხორციელდება ტოლერანტობის და კულტურული მრავალფეროვნების განმტკიცებაზე ორიენტირებული აქტივობები; პერსონალი გადამზადებულია სამშვიდობო განათლების, კონფლიქტების პრევენციისა და კულტურულად სენსიტიური მიდგომების მიმართულებით; ბაღი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თემთან და განსხვავებული კულტურის მქონე ოჯახებთან.					

1.3. ბავშვის უფლებათა და თანასწორობის პრინციპების დაცვა:	დამკვიდრებულია ბავშვთა უფლებებისა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული პრაქტიკა, რაც მოიცავს თანამშრომელთა მიერ სტანდარტებისა და პროტოკოლების ცოდნასა და გამოყენებას, განახლებულ შიდა რეგულაციებს თანასწორობისა და ჩართულობის ხელშესაწყობად, განხორციელებულ ტრენინგებს ბავშვის უფლებების თემაზე და ბავშვებისა და მშობლების ინფორმირებულობას დაცვის მექანიზმებისა და საკუთარი უფლებების შესახებ					
სტრატეგიული მიზანი 2. გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა						
2.1. ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება:	სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია ეკო-საგანმანათლებლო თემა- უზრუნველყოფილია როგორც ბავშვების ჩართულობა გარემოსდაცვით აქტივობებში (მაგ. ეკო-დღეები, ნარჩენების დახარისხება, მცენარეებზე ზრუნვა), ასევე ყოველწლიური ღონისძიებების ჩატარება (მაგ. „მწვანე კვირეული“); პერსონალი გადამზადებულია გარემოსდაცვითი განათლების საფუძვლებში და ხელს უწყობს ეკოლოგიური ცნობიერების განვითარებას ყოველდღიურ პრაქტიკაში.					
2.2. მდგრადი რესურსების გამოყენება:	დანერგილია მდგრადი რესურსების გამოყენების პრინციპებზე დაფუძნებული პრაქტიკა, რაც მოიცავს ეკო-მეგობრული და გადამუშავებადი მასალების გონივრულ გამოყენებას, პლასტმასის შემცირებას ყოველდღიურ საქმიანობაში, შიდა ეკო-წესების დანერგვას (წყლის, ელექტროენერგიის, ქაღალდის დაზოგვა) და პერსონალისა და ბავშვების ჩართულობას პრაქტიკულ ეკო-პროექტებში (როგორიცაა კომპოსტირება, მცენარეებზე ზრუნვა, ბიოკუთხის მოვლა).					

2.3. კვლევა და ექსპერიმენტები ბუნებაში	ბავშვები რეგულარულად ჩართულნი არიან კვლევით და დაკვირვებით აქტივობებში ბუნებრივ გარემოში, რაც ხელს უწყობს მათი გარემოსდაცვითი ინტერესებისა და უნარების განვითარებას; გარე სივრცე გამოიყენება როგორც სასწავლო გარემო, ხოლო პედაგოგები იყენებენ აქტივობების დაგეგმვის მეთოდოლოგიას ბუნებრივ გარემოში მუშაობისათვის; ბავშვების ჩართულობით გაშენებულია მცირე ბაღი ან მწვანე ზონა, რომელიც დამატებით უზრუნველყოფს კვლევისა და აღმოჩენის შესაძლებლობებს.					
სტრატეგიული მიზანი 3. პერსონალის პროფესიული განვითარება.						
3.1. პროფესიული ლიტერატურის/ელექტრონული რესურსების მიწოდება და	პერსონალს აქვს წვდომა თანამედროვე საგანმანათლებლო ლიტერატურასა და ელექტრონულ რესურსებზე (ბიბლიოთეკა, პლატფორმები), სისტემატურად ტარდება ტრენინგები ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით და პედაგოგები ფლობენ ტექნოლოგიურ უნარებს, რაც საშუალებას აძლევთ გამოიყენონ დიგიტალური ხელსაწყოები სასწავლო და პროფესიულ საქმიანობაში (მაგ. პრეზენტაციის მომზადება, ონლაინ რესურსების გამოყენება).					
ტექნოლოგიური უნარების განვითარების ხელშეწყობა.						

3.2. კვლევითი სწავლების მეთოდოლოგიებზე ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება.	პერსონალი ფლობს კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიას და იყენებს მას პრაქტიკაში; ტარდება სემინარები და ვორქშოპები ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი თემატიკით, ხოლო პედაგოგები აქტიურად ნერგავენ მიღებულ ცოდნას საგანმანათლებლო პროცესში; ბავშვები ჩართულნი არიან სხვადასხვა კვლევით აქტივობებსა და პროექტებში აღმზრდელებთან ერთად					
3.3. პედაგოგებს შორის გამოცდილების გაზიარებისა და ურთიერთმხარდაჭერის ხელშეწყობა.	დამკვიდრებულია კოლეგიალური თანამშრომლობისა და პროფესიული მხარდაჭერის კულტურა, რაც გამოიხატება ერთობლივი შეხვედრების პრაქტიკის (წრის ფორმატი, სესიები) არსებობით, წარმატებული პრაქტიკებისა და პროექტების ურთიერთგაზიარებით, მენტორობის ან „პედაგოგი პედაგოგისთვის“ მოდელის დანერგვით და პედაგოგების გაზრდილი ჩართულობით ერთობლივ დაგეგმვასა და შეფასების პროცესში.					
სტრატეგიული მიზანი 4: თანამშრომლობა და კომუნიკაცია მშობლებთან და საზოგადოებასთან მშვიდობის და თანაცხოვრების კულტურის განვითარება						
4.1. მშობელთა ცნობიერების ამაღლება	ხორციელდება მშობლებთან სისტემური კომუნიკაცია და საგანმანათლებლო მუშაობა, რაც მოიცავს თემატურ საინფორმაციო შეხვედრებსა და სემინარებს (ბავშვის უფლებები, რეფერირება, ტოლერანტობა, კონფლიქტის მართვა), საინფორმაციო მასალების (ბიულეტენები, პოსტერები, ბროშურები) მიწოდებას და მშობლების ცნობიერების ზრდას კულტურული მრავალფეროვნებისა და თანასწორობის მნიშვნელობის შესახებ.					

4.2.მშობლებისა და თემის აქტიური ჩართულობა სკოლამდელი დაწესებულებების მულტიკულტურულ აქტივობებში.	ყოველწლიურად ორგანიზებულია მრავალფეროვანი თემატური ღონისძიებები, როგორიცაა კულტურათა ფესტივალი და მშვიდობის დღე, რომელთა მიმდინარეობაში ერთობლივად არიან ჩართულნი მშობლები, თემის წევრები და ბავშვები; ამასთან, მულტიკულტურულ აქტივობებში მუდმივად მატულობს მშობლების აქტიური მონაწილეობა და ინტერესი, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს საზოგადოების ერთიანობასა და კულტურულ მრავალფეროვნებას სკოლამდელ სივრცეში.					
4.3. საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ადგილობრივ ორგანიზაციებთან და თვითმმართველობასთან პარტნიორობის გაძლიერება თემზე მორგებული ინიციატივების მხარდასაჭერად	გაფორმებულია მემორანდუმები და შეთანხმებები ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან, რაც უზრუნველყოფს სისტემურ პარტნიორობას და ერთობლივი აქტივობების განხორციელებას თემაზე მორგებული ინიციატივების მხარდასაჭერად; წლის განმავლობაში ჩატარებულია პროექტები და ინიციატივები; ბაღის საუკეთესო პრაქტიკები გაზიარებულია მუნიციპალიტეტსა და ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა საზოგადოების აქტიური მხარდაჭერა და ჩართულობა ბაღის მშვიდობის, ტოლერანტობისა და თანაცხოვრების ღირებულებების მიმართ.					